სამშობლო

ხუთშაბათი
31 დეკემბერი
წელიწადი 1.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., ც[illegible] 4 კპ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეული ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 253 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 253

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედა ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრიც ტკბილია ძმობილთ მიჩნევის ორხავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ **ეროვნული დემოკრატიული მიმართულების** საუკეთესო ძალები

რადგან ამ დღეებში ქაღალდის ფასმა კიდევ მოიმატა წლიურად გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურად 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. დამატებით 7 კ. პროვინციაში თვიურად დაკვეთა არ შეიძლება, ადგილობრივ კი თვიურად დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვში.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს—4 მანეთი, პირველ ივლისს—3 მანეთი და ენკვენისთვეში 2 მან.

სოფლის მოამბეებს დასტამბულ კორესპონდენციაში მიეცემათ სასყიდელი.
წერილები უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვეულისა და სუფთა ხელით. დაწუნებულ წერილმან წერილებსა და ლექსებს რედაქცია არ შეინახავს და არც კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას მათ შესახებ.
ადგილობრივ და თვიურ ხელის მომწერთ. ვინც პირველ რიცხვამდი ხვედრ ფულს არ წარმოადგენს, გაზეთი არ გაეგზავნებათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ციციაძე.**

ქნ. ნატალია ჩიჯავაძისა და **თ-დი გიორგი მ. ჩიჯავაძე** გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომლებმაც პირადი დასწრებით, დეპეშებით, თუ წერილებით პატივისცემა და ანუგეშეს უზომო მწუხარებაში მყოფნი მშობლები, ძათი ძვირფასი და საყვარელი შვილის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მე-5 კლასის მოწაფის

თ-დ შალვა ჩიჯავაძის

უდროოთ გარდაცვალების გამო.

რადგანაც მოკლებულნი ვართ საშუალებას პირადათ მიუძღვნათ მადლობა იმათ, ვინც კეთილ ინება ჩვენთვის სამძიმრის გამოცხადება პირადათ, წერილობით ან დეპეშებით ჩვენის ძვირფასის

თინას

უდროოთ გარდაცვალების გამო, ან დაესწრენ მის დასაფლავებას, მადლობას ვსწირავთ ყველას.
ლუცია და ვასილ კოკოჩაშვილები შვილებით და მარიამ ყაუხჩიშვილი.

მშვენიერი ახალი კედლის კალენდარი 19.6 წლ.

შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის და **აკაკი წერეთლის სურათებით.**
გამოცემული **პ. ოცხელის** და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ.
ღირს სამი აბაზი.

ყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, ხაკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

ო. აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე**

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალ[illegible]. სავათმყოფოს ორდინატო[illegible]. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით 1[illegible]—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვსკის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. ო.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი
ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.
გოსპიტლის ქუჩა, № 6. ო.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრების და ვენერიულ ავადმყოფების იღებს დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. ო.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღრტილობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ახალი
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დარჩიქთაფაძის სახლი. ო.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ესპობ სახეზე: მეწუკებს, ნაოჭებს, ბორცლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვეცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: ვენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. ო

ელექტრო „რადიუმი“ თ[illegible]
ორშაბათიდან, 28 დეკემბრიდან, ნაჩვენები იქნება მხოლოდ სა[illegible] ვი[illegible] სურათი

კაი იულიუს კეის[illegible].

კინო-ტრაგედია 5 ნაწილით

ელექტრო „ამპირი“ თეატრი
ორშაბათიდან, 26 დეკემბრიდან ნაჩვენები იქნება ახალი სურათი

მხოლოდ მოზრდილთათვის

მოსკოვის ოქროს ქსელში.

დრამა მოსკოვის მოქეიფე ახალგაზრდათა ცხოვრებიდან—5 ნაწ.

1916 წ.
იანვარი
1
პარასკევი

ეფ. მესხის ბენეფისი.

„ქართული დრამა“. № 35
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
ცნობილი პიესა ბერძენთა ცხოვრებიდან

მ ე დ ე ა

4 მოქმ.

ანონსი: მზადდება: მოლიერის „იძულებით ავათმყოფი“, ახალი პიესა „ბედის ტრიალი“.

ავტორები: ბურენინი და სუვორინი, მთარ. დ. მესხი
ადგილების ფასი საბენეფისოა.
მონაწილეობს მთელი დასი
რეჟისორი **შალვა დადიანი.**
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 2—1

გაზეთ „**შრომის**“ თანამშრომელთა თაოსნობით იანვრის გასულს ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული.

„სხივი“

კრებულში მოთავსებული იქნება ორიგინალურ-მხატვრული და კრიტიკული წერილები.
მონაწილეობენ: **მიხ. ბოჭორიშვილი, ია ეკალაძე, ნიკ. მიწიშვილი, გ. მუშლაძე, ილია ნაკაშიძე, გიგო ნათაძე, გ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლეო ა. შენგელაია** და სხვ.
აგრეთვე მოთავსებული იქნება **მიხა ჯუღელის** დაუბეჭდავი წერილები.
ფასი კრებულისა სამი აბაზი.
მსურველთ შეუძლიათ კრებული წინდაწინ დაიკვეთონ.
მისამართი: ქუთაისი, ოზურგის ქუჩა, ნადეკა ვექილი იოანე პავლეს ძე გობეჩია.
წიგნი დაიბეჭდება ქ. შ. წ. კ. გამავრ. ქუთ. განყოფ. სტამბაში.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 29 დეკემბერი. დასავლეთის ფრონტი. ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზი.

ოსმალთა ახალმა ცდამ მდინარე არხავის მეორე ნაპირზედ გადმოსასვლელათ მიმართულში, 28 ამ თვის ღამით უნაყოფოთ ჩაიარა. გათენებისას ჩვენი რაზმები შეიჭრენ სოფ. ტავში ტორტუმგელის ტბის ჩრდილოეთით.

სამხრეთ აღმოსავლეთით ტორტუმგელის ტბიდან ჩვენმა მზვერავები პოდპრაპორშჩიკ სოკოლოვის და ოსიპოვის მეთაურობით დაესხენ ოსმალოთა რაზმს ხელის ყუმბარებით და ხიშტებით, წამოიყვანეს ტყვეები და უკან დაბრუნდენ.

სევრიჩაის და ოლთიჩაის ველთა რაიონში ომი სწარმოებს.

——

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

ხაით გადაყავთ ჯარები?

გერმანია—ავსტრიას ახლა, როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, მაშველი ჯარები ბალკანეთის ასპარეზის სხვა და სხვა პუნქტიდან ბუკოვინაში გადაყავს. ამ ფრონტზე ავსტრიელებმა 14,000 კაცი დაუკარგავთ. და ახლა ამ ნაკლის შესავსებათ ყველა სათადარიგო რაზმებს აქეთკენ იწვევენ: ამ ფრონტზე თხრილების და სანგრების საკეთებლათ მოხუცები, ქალები და ბავშვები გამოყავთ თურმე. ავსტრიელებს ძალიან უჭირთ ახლა ბუკოვინის ფრონტზე და ბალკანეთიდან მაშველ ჯარს ელოდებიან; მაგრამ ეს ჯარი [illegible] ადრე იქ ვერ მიაღწევს, მანამ კი რუსების შეტევას დაჩქარებული ძალებით უნდა გაუმკლა[illegible]

ბ[illegible] რა ხდება?

გერ[illegible] არეთის შეერთებულ[illegible] ში შეიჭრა და ალბანე[illegible] ადრიატიის ზღვის ნა[illegible] სოფიიდან გაზე[illegible] ერალ მაკენზენსა და ბულ[illegible] სარდლებ შორის მოლაპარაკე[illegible] დასრულდა: შეერთებულ[illegible] სალონიკზე იერიში უნდათ მ[illegible]; მოკავშირეთა საწინააღმდეგო ოპერაციის მალე [illegible] ანო. იმ კითხვაზე კი, თუ როგორ მოიქცევა საბერძნეთის ჯარი, როცა ბულგარელები საბერძნეთის საზღვარს გადავლენ და სალონიკისაკენ გასწევენ, ამაზე საბერძნეთის მეფე კონსტანტინე გარკვეულ პასუხს იძლევა: „როცა ბულგარელები სალონიკთან მოკავშირეების წინააღმდეგ იერიშებს დაიწყებენ, საბერძნეთის ჯარი ამ ამბის მხოლოთ მაყურებელი იქნება ვინაიდგან იგი სალონიკიდან მოშორებით არის დაბანაკებულიო“, ამბობს მეფე. გერმანიის გაზეთებში კი საქმის ვითარება სხვანაირათ არის წარმოდგენილი. იქაური ცნობებით გერმანიამ ახალი მოთხოვნით მიმართა საბერძნეთის მთავრობას, რომ მან ფრანგ—ინგლისელთა ჯარები სალონიკიდან გაძევოს წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანიისა და ბულგარეთის ჯარები საბერძნეთს შეესევა.

საჩუქარი.

ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ 50,000 ფრანკს უნიშნავს ჯილდოთ იმას, ვინც ცნობებს მიაწვდის მას, თუ სად იმყოფება ეგეის ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავები.

რუსეთ—გერმანია—ავსტრიის ფრონტზე.

ცნობებია, რომ მტერი კვლავ განაგრძობს რუსეთის ფრონტზე ჯარების გადმოყვანას. გერმანია—ავსტრიას ამ ფრონტზე უკვე მზათ ყავს 120 ქვეითა ჯარის დივიზია 29 საარტილერიო ბრიგადა თავისი ზარბაზნებითა და სპეციალისტებით. როგორც ავტორიტეტული წყაროებიდან სჩანს მტერმა ფრონტზე თავისი ძალები შემდეგ ნაირათ დარაზმა: მთელი ფრონტი რიგის ყურიდან დაწყებული [illegible] ის საზღვრამდე [illegible] ნაწილით არის გაყოფილი. პირველი ნაწილი—რიგის ყურიდან მდ. ნ[illegible] ზემო ნაწილებამდე, სადაც [illegible] დვინსკისაკენ უხვევს, ჩაბარებული ჰყავს თვითონ მთავარ სარდალს, ჰინდენბურგს; მეორე მდ. ნემანის ზემონაწილიდან მდ. პრიპიატამდე ბავარიის პრინცს ლეოპოლდ ბავარიელს; მესამე ფრონტი, რომელიც მდებარეობს მდ. პრიპიატიდან მდ. იკვამდე, მოქმედებს ავსტრია—გერმანიის შერეული ჯარი, რომლისაც განაგებს გენერალი ლიზინგენი. უკანასკნელ მეოთხე ფრონტზედაც ავსტრია—გერმანიის შერეული ჯარი მოქმედებს, რომელსაც ერცჰერცოგი ფრიდრიხი უფროსობს. არა სჩანს, თუ სახელგანთქმულ გენერალს მაკენზენს რა როლი აქვს მინდობილი [illegible]

ქრონიკა

რუსეთი

ახალი სათათბირო.

სიძვირესთან ბრძოლის მთავრობა ამ უკანასკნელ დღეებში დიდ ყურადღებას აქცევს. [illegible] ზნით უნდა „საზოგადოებრივ“ და ადმინისტრატიულ ძალების გაერთიანებული ორგანო რომ დაარსოს. როგორც „[illegible]“ გადმოგვცემს მთავრობას განზრახვა აქვს სანოვაგის მოსაწესრიგებლათ შეადგინოს „უმაღლესი“ ხელმძღვანელობით საგანგებო სათათბირო. მაგრამ იმავე გაზეთის ცნობით ამ სათათბიროში ძალიან ნაკლები ადგილი იქნება საზოგადოებრივ ელემენტებს: იგი კვლავ ბიუროკრატიული წესით იქნება მოწყობილიო; და ეს გარემოება კი იმის მომასწავებელია, რომ საქმეს ვერც ეს ახალი „სათათბირო“ უშველის.

„საჭიროა, დასძენს „რუსკია ვედომოსტი“, რომ საქმე თვით „საზოგადოების“ ხელში გადავიდეს და გაუმაძღარი სპეკულიანტები „საზოგადოებამვე“ ალაგმოს“.

პოლიტიკურ დასჯილთა რიცხვი რუსეთში.

იუსტიციის სამინისტრო სტატისტიკურ ცნობას იძლევა იმაზე, თუ ამ ხუთი წლის განმავლობაში (1910—1915 წლ.) რამდენია „პოლიტიკური დამნაშავე“ და როგორია მათი შედგენილობა.

გაუსამართლებიათ სულ ამ ხნის განმავლობაში 35,353 პოლიტიკური. აქედან სასამართლოს გაუმართლებია 10,006 კაცი. მანიფესტით სასჯელისაგან განთავისუფლებულა 70 (?) კაცი. დაუ[illegible] 15,277 კაცი. სულ გასამართლებულთა 80% დასაჯეს. ყველა დასჯილ[illegible] 75 [illegible] ტუსაღები მიუსჯიათ. [illegible] ჩამოურთმევიათ. უვადო კატორღა მხოლოდ ორისთვის მიუციათ.

როგორც მთავრობის განმარტებიდან სჩანს პოლიტიკური დანაშაულობა 1904 წლიდან დაწყებული 1908 წლამდე საშინელი სისწრაფით იზრდება, შემდეგ კი შემცირება იწყო. განსაკუთრებით ჭარბეულობაში მონაწილეთა რიცხვი შემცირდა. „დანაშაულობას“ მომეტებულ ნაწილათ ქალაქში ჰქონდა ადგილი, სოფლის მასას კი [illegible] ნაკლებათ ეხება. ხნოვანებით დამნაშავენი უმეტესათ 16 წლ.—25 წლოვანნი არიან, წოდებით კი „მეშჩანები“ და გლეხებია, ინტელიგენტთა რიცხვი მხოლოდ 10% შეადგენს, მუშაელთა რიცხვი კი 8%—განათლების მხრით დიდი უმრავლესობა 77% დაბალი სწავლისათ, [illegible] რიცხვი 14% აღწევს.

სპეკულიანტების წინააღმდეგ.

23 დეკემბერს პეტროგრადში უმაღლესი მთავრობის განკარგულებით კალოშნიკოვის ბირჟის მსხვილი ვაჭრები—მეფქვილეები გაჩხრიკეს, რომლებიც ათასნაირ ხრიკებს აწყობენ და სპეკულიაციას აწყობდენ. სულ ოცამდე ბინა-საწყობი გაჩხრიკეს და მრავალი სარკინიგზო „ნაკლადნოები“ და სხვა გვარი დოკუმენტები დაბეჭდეს. ზოგი მსხვილი ვაჭარი დაატუსაღეს კიდეც და ციხეში გაგზავნეს.

არჩევნების ბოიკოტი.

23 დეკემბერს მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის საზოგადო კრება გაიმართა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ოპოზიციონური ბურჟუაზიის ცნობილი მოღვაწე რიაბუშინსკი. კრებას ხელ ახლა უნდა აერჩია კომიტეტს მუდმივი პრეზიდიუმი. მუშათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი პრეზიდიუმის არჩევაში მონაწილეობას არ მიიღებენ, რადგან არ სურთ, რომ საერთოთ კომიტეტის მოქმედებისთვის პასუხისგება თავის თავზე იკისრონ. ისინი მხოლოდ მუშათა ჯგუფის მოქმედებაში აგებენ პასუხს და ამიტომ მხოლოდ ამ ჯგუფის პრეზიდიუმს აირჩევენ.

მუშების ასეთი განცხადებას მიუხედავათ 29 კაცმა მაინც აირჩია თავისი პრეზიდიუმი. კომიტეტის თავმჯდომარეთ ერთ ხმით აირჩიეს თვითონ რიაბუშინსკი. მის ამხანაგებათ თავადი გ. ე. ლვოვი, სმირნოვი, ტერეშჩენკოვი და ჩელნოკოვი.

ქ. ქუთაისი, 31 დეკემბერი.

წრევანდელმა წელიწადმა, რომელიც აქ[illegible]ლიდან საუკუნეთა წიაღში გადავის[illegible], ქუთათურებს სამოწყალო სფერო[illegible] ფრიად სამახსოვრო დაწესებულება დაგვიტოვა.

- პირველი არის „სინათლის“ საქალებო ქართული [illegible] და მეორე—სახალხო [illegible] მასწავლებელთა [illegible] დახმარების კავშირი.

სხვა და ბევრი იმის შესახებ, რომ ყოველივე ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ სკოლას, ზედმეტათ მიგვაჩნია, ვინაიდან ეს იმას ამტკიცებს, რომ ვიკამათოთ—მზე ანათებსო. მარტო უგვარო და გადაგვარებული ადამიანი თუ უხვდება გულგრილათ ქართულ სკოლას, თორემ ყველა შეგნებული და სიცოცხლის მოსურნე ქართველი, მოვალეა თავისი ზნეობრივი და ქონებრივი დახმარება გაუწიოს ქუთაისის ქართულ საქალებო სასწავლებელს და მთელი თავისის არსებით ემსახუროს ამ სკოლის აყვავებას და აღორძინებას.

უბედურება მხოლოდ [illegible] კარგ ქართველებსაც [illegible] უყვართ ხოლმე დახმარება, ვიდრე საქმით და თუ ამ წესს არ მოვიშორებთ თავიდან, ყოველგვარი ჩვენი—ქართული—დაწესებულება დიდ განსაცდელში იქნება.

რამდენათაც გვახსოვს მხოლოდ პატივცემულმა ელიაძემ აღმოუჩინა საგრძნობელი დახმარება (500 მ.) ქუთაისის „სინათლის“ სკოლას, დანარჩენთა უმრავლესობას კი, გვგონია, საწევრო ფულიც არ გადაუხდიათ გულიანათ!..

ეს, ვამბობთ, ჩვენი სენია და ვინ იცის როდის მოვრჩებით ამ ავადმყოფობისაგან?

ყოველ შემთხვევაში საწევრო ფულის გადახდაც ბევრს ვერაფერს უშველის ისეთ რთულსა და მრავალ მოთხოვნილებიან დაწესებულებას, როგორიც არის ქართული სკოლა.

ამიტომ მის მმართველთა და „[illegible]“ მეტკივრებს განუზრახავთ 6 იანვარს გამართონ საღამო. საღამო, როგორც განცხადებიდანა სჩანს, დიდათ საყურადღებო იქნება და დამსწრე საზოგადოება უეჭველია ნასიამოვნებიც დარჩება.

დასწრება ამ საღამოზე ჩვენი აუცილებელი მოვალეობაა და, ვინც ამ საღამოზე წასვლას დაიზარებს, იმას თვით სცოცხლეც სზარებია!..

მეორე დაწესებულება, რომელსაც ჩვენი დახმარება და თანაგრძნობა სჭირია, არის, როგორც უკვე მოვახსენეთ, სასოფლო მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელი კავშირი.

როგორც გაზეთებიდან ვიცით, [illegible] დამსწრეთაგანაც გაგვიგია, ამ საზოგადოების პირველ კრებას ქუთათური ინტელიგენცია დიდის აღფრთოვანებით შეხვდა.

ჩვენ თვითონ მოვისმინეთ ლამაზი სიტყვები რამდენიმე მჭერმეტყველი ორატორისა, მაგრამ გულახდილათ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სიტყვები მხოლოდ სიტყვებათვე დარჩება, ვინაიდან ამ სიტყვებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია: არც ერთ მთქმელს და არც ერთ დამსწრეს თვალსაჩინო წვლილი არ გადაუხდია „[illegible]“ სასარგებლოდ.

უფულოდ კი ამ ჩვენ უკუღმართ ცხოვრებაში არა კეთდება რა, გარდა ლამაზი სიტყვებით თავის გამოჩენისა საზოგადოებაში.

ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნებული, რომ სიტყვების წარმოთქმაზე ბაჟი იყოს დადებული, ბევრი „მოლაპარაკე“ პირში წყალ დაგუბებული იქნება ხოლმე.

პირველი სიყვარული.

(დასასრული, იხ. „სამშობლო“ №251.)

IV.

ამავე დროს ჩემ დედ-მამას არ ეძინათ და რომ ვერ მომაშორეს ვარდოსთან სიარული, ახლა იცადეს, სხვანაირად მოეხერხებიათ რამე. შემომიჩინეს მოკეთე პირები მაშუალებად: „ამას და ამას ისეთი ქალიშვილი ყავს, ასეთი ნასწავლი, ამდენი ათასი მზითევი ექნებაო.“ მაგრამ მე მტკიცე უარზე ვიდექი. უნდა გეყურებინათ მამა ჩემის წუწუნი ამის შემდეგ: „კაცს ბედი კარზე გადგეს, ამდენ ფულს გაძლევდეს და შენ არ მინდა ს გაიძახო დეო?“ მე დავიწყე ისევ: სანამდი არ გავათავებ სწავლას, მაშუალები ტყუილად ნუ შემაწუხებენ, სწავლაზე გული არ ამაცრუებიონ, როცა გავათავებ, მაშინ ხომ უფრო ღირსეული კაცი ვიქნები და უკეთეს საქმესაც ვიშოვნი მეთქი.“ ამაზე მეთანხმებოდნენ, მაგრამ გულში სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ თუ ვარდო გაუთხოვარი დარჩებოდა, სწავლას რომ დავამთავრებდი, მე იმის მეტ სხვა ქალს არ შევირთავდი. მაშ, უნდა ემოქმედნათ სხვანაირად.

ვნახოთ, ერთხელ დედა მწერს: „შვილო შალვა! შენი სადმერთებელი ვარდო სრულიადაც არ გამოდგა ისეთი, როგორიც შენ გგონია. მე ვიცოდი, რომ ის გიყვარდა და თვალყურს ვადევნებდი: როგორ მოიქცეოდა, თუ გათხოვებას დაუპირებდენ. მოუყვანეს მნახველი კაცი, და ისე არხეინად მოუჯდა გვერდში, რომ მე მეწყინა შენს მაგივრად. ახლა როგორც გინდა ისე იფიქრე, მე კი დედის ვალს ვასრულებ და გაფრთხილებ!“ ამ წერილმა ჩემ სიყვარულს ცივი წყალი გადაასხა. რა უნდა მეპასუხნა დედისთვის? ბრძნულად გავჩუმდი. ვიფიქრე, დრო ყველაფერს გამოარკვევს მეთქი.

ჩამოვედი საშობაოდ. მიმიწვიეს ვარდოსას. მე და ვარდომ განვაგრძეთ ჩვეულებრივად თვალებით მუსაიფი. ლაპარაკისთვის საიდუმლოება აღარ იყო ჩვენი დამოკიდებულება. ვარდო გათხოვების უარზე დამდგარიყო და, როგორც ეტყობოდა, მიცდიდა, მაგრამ ზამთარი იყო და სალაპარაკო ადგილს ვერ ვშოულობდით. როცა სადმე მოვასწრებდი, ვინმე მოგვიახლოვდებოდა და ჩაერეოდა ჩვენ ლაპარაკში, ოჰ, ეს ადამიანები! რათ ეტანებიან იქ, სადაც არ უძახიან, ან რათ არ შორდებიან იმათ, რომელთაც ლაპარაკი ვერ მოუხერხებიათ იმათი თანდასწრებით? მე და იმას რომ ერთმანეთთან დალაპარაკების საშუალება გვქონებოდა, შეიძლება, სულ სხვაფერ დატრიალდებოდა ჩვენი ცხოვრების ბორბალი. მაგრამ ჩვენ მხოლოდ „შორით კვდომა, შორით ჰვრეტა“ გვქონდა და ერთმანეთისთვის ვერა გვეთქვა რა. ოჰ, ნეტავი იმას წერა-კითხვა სცოდნოდა! რა მარგალიტის სიტყვებით შევამკობდი და ავუძგერდი გულს? რა გრძნობის ნაკადული გადავიდოდა ჩემი გულიდან იმის გულში? ჭეშმარიტად, დიადია წერა-კითხვა! და უბედური უნდა იყოს ის ადამიანი, რომელმაც წიგნი არ იცის! ასეთი ადამიანი ბრმაა—ვერ ხედავს ნათელ აზრს, ყრუა—არ ესმის მოშორებით გამოთქმული სიმართლე, მუნჯია—ვერ უთქვამს თავისი ნაფიქრ-ნაგრძნობი!...

გაჩნდა მოლაპარაკება ვარდოს დედმამასა და ჩემს შორის, გადაჰკრით მოითხოვდნენ ჯვარი დამეწერა ან, უკანასკნელ შემთხვევაში, დამენიშნა მაინც, თუ არა გათხოვებით შემუქრებოდნენ. ასეთმა მოძალებამ მე გული შემიცვალა; იმას ჯავრი მქონდა, რომ ვარდო თავს იწუხებს და მოიცდება, თუ არ გამოაცხადებს მის მშობლებს, რომ არ ვთხოულობ თქვენ ქალს, ვისაც გინდათ, იმას მიეცით მეთქი: მაგრამ ასე არ მოვიქეცი, მე გადაწყვეტილი მქონდა არ მელაპარაკნა ვარდოსთვის, მხოლოდ ამასთანავე ისიც მინდოდა გამეგო: შესძლებს თუ არა ისიც თავის სიტყვების ასრულებას? ვეყვარებით თუ არა იმდენათ, რომ მცირე წინააღმდეგობა გაუწიოს თავის მშობლებს და არ გათხოვდეს ჯერჯერობით? და თუ—ვფიქრე მე—ის იმდენათ ბავშვი გამოდგება, რომ საჩუქრები შეაცდენს და მუქარა შეაშინებს და გათხოვდება, ჩემთვის უკეთესი, უღირს ქალს გადავრჩები და ჩემ საქმეს ვიწყებ, ვარდოსაც არა გაუჭირდება რა, რადგანაც ადვილათ დაივიწყებს, რაც იყო ჩვენ შორის და თავის ბედს შეურიგდება მეთქი. სწორედ ახე ვუთხარი სირას და მის ქმარს ნიკოსაც, რომელიც აგრეთვე მოშლიდა ვარდოს შერთვას და ამასთანავე შუა-კაცობას სწევდა ჩემსა და მის დედმამის შუა, და ვსთხოვე, ვარდოსთვის ეთქვათ ყველაფერი.

დაღონებული წაველი სასწავლებელში. თითქოს ვგრძნე, რომ ვეღარას დროს ჩემ ვარდოს ვეღარ შევხვდებოდი სასიყვარულოდ, რომ გაწყდა ძაფი, ჩვენი შემაერთებელი, როცა ის, ამდენის ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის ხელში დავტოვე, თავისა თავის ანაბარა, რომ გამოეჩინა გმირობა და დაემტკიცებინა ჩემთვის სიყვარული. მე სხვა გზა არ მქონდა მაშინ და რა უნდა მექნა? მთელი ერთი თვე ვცდილობდი, დამევიწყებინა ვარდო, მაგრამ ვერ მოვახერხე: წიგნს ვკითხულობდი, ვარდოს სახეს სტრიქონებ შუა ვხედავდი, ქალს რომელიმეს დაველაპარაკებოდი, სულ ვარდო მახსოვდა.

აქ მომივიდა დედის მეორე წერილი: „შვილო შალვა! ახალ ამბავს გითვლი: შენი ვარდო, თუ არ გეწყინება, გათხოვდა, წაყვა ერთ ნაკლებ კაცს. ნუ იფიქრებ, ძალა დაატანა ვინმემ. როცა წაიყვანა ჯვარსაწერად, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ნუ იჯავრებ, შვილო, ბევრად უკეთეს იშოვნი! შენი დედა.“ თუმც მოსალოდნელი იყო, მაგრამ ამ ამბავმა თავზარი დამცა. მთელი დღე არაფერი მეყურებოდა, მასწავლებელმა შენიშვნა მომცა, გაკვეთილი რომ ვერ მივუგე. საღამოს ჩემი გულის დარდები ქაღალდზე დავინახე ლექსად.

რაც კი ოდესმე გულს ახარებდა,
წავიდა, გაჰქრა, როგორც სიზმარი.
და ნაცვლად დამრჩა კვნესა გულისა,
უიმედობა და ცრემლის ღვარი!

——

ცხოველმყოფელი მზის სხივები
შავბნელ ღრუბელთა გროვამ დაჰფარა,
თავი დაიღო კოკობმა ვარდმა
და მწუხარების ცრემლი დაღვარა,
სევდა მერევა, თვალთ მიბნელდება,
ნუგეშ მცემელი არავინ არი,
უიმედოა ჩემი არსება,
ვით დარღვეული ძველი ტაძარი!
და ამ ტაძარზე, მიტოვებულზე—
[illegible] და უფრო ცივი;
მხოლოდ ფიქრები გარს მეხვევიან,
აღარ მახარებს მზის თბილი სხივი.
რაც კი ოდესმე გულს ახარებდა,
წავიდა, გაჰქრა, როგორც სიზმარი
და ნაცვლად დამრჩა კვნესა გულისა,
უიმედობა და ცრემლის ღვარი!“..

ამის შემდეგ დღეხანს არ გამქრალია ჯავრი, მხოლოდ ცხოვრებამ დაკარგა ჩემთვის მიმზიდველობა, აღფრთოვანება ჩამიკვდა, გრძნობა გამიცივდა. ძველებურად აღარ მიხაროდა სოფელში მისვლა, რადგანაც იქ ჩემი ვარდი აღარ მეგულებოდა.

ჩამოვედი სახლში სააღდგომოთ და მოწყენილად შევყურებდი გვერდას, რომლის გადაღმაც სოფელ მთის ძირში გათხოვებიათ ვარდო ერთ გლეხზე. რამდენჯერ ამომხეთქია გულიდან ეს ხალხური ლექსი: „მთაო, გადმიშვი, გადმიშვი, რა ნისლი მოგიხვევია, შენს იქით ჩემი მიჯნური სხვას ვისმეს ჩაუხვევია!“

სირა მოწყენილი დამიხვდა „საწყალ ვარდოს შეუჩნდენ ეშმაკებივით—მომიყვა ის—„მოუგონეს უხიაგი ქორები, გამოიყვანეს გაფუჭებულ ადამიანად, აწამეს სულიერად, შენი უთხრეს: „ის ნასწავლი კაცია, მოგატყუებს, მიიღებს, რაც უნდა და მიგატოვებსო!“ შენი დედამაც [illegible]ლიდა ვარდოს: „გათხოვდი, შვილო, შვილს შენთვის არ სცალიაო.“ ასე ავალიანეს გასათხოვრად, მაგრამ ჯვარწერის დროს იმის თვალზე ცრემლი შემშრალაო!„

„რა ვქნა, დაო სირა, ჩემი ბრალი არაფერია! რომ მოეცადა, არ იქნებოდა ჩემგან ღალატი. ახლა ღმერთმა მშვიდობა მისცეს. როგორ არის, ხომ კარგად?“

„არა უშავს რა! მაგრამ როცა შენ გახსენდები, ჭარხალივით გაწითლდება ხოლმე; უნდა შალვამ შვილი მომანათვლიოს, ცოლს რო ითხოვსო!“

„ეგ იმას ნიშნავს—მივუგე მე სირას—რომ მალე მეყოლება შვილი და შალვამ მომანათვლინოსო. დიდი სიამოვნებით! სრულდება მისი სიტყვები, წყაროზე თავის განებ დროს რო მითხრა: შენი ნათლიდედა ვარო!“

გავიდა ერთი წელიწადი, ვარდოს ვაჟი ყოლებოდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ჩქარა მონათლულიათ, ასე რომ მისი ნათლია ვერ გავხდი.

სწავლა დამთავრებული მქონდა, ვარდო